




— ყველაზე ძალიან რა მოგეწონა, ბიჭო, საზღვარ-
 ბარეთი?
 — ბარები, ზონიშე ბიძია.
 — აბა, აჲ რა ღმერთი გიყურება, ბარს და თოხს დასანა-
 ხავედ რომ ვერ იტანა?!



171

— ნუ გაგვიშვარებ, შვილო, სიბერეს, ღაიბავი ღისმრტაცია, თორემ სირცხვილით ხალხში თავი ვერ გამოგვიყვია!

ქებათა ქება ერთ სახლს
ჩაქონეს
გებლირთქა

ცის მკერდს მიღებული
გადმოგვყურებს მალღით,
გამობრწყინებული
ჩუქურთმებით ახლით.
ეშხით ააშენა, ვინაც ააშენა.
ბაღით დაამშვენა ეს ვეება სახლი.
სანახავად მისად
პირს დააფრენს ხალხი...
ექებს მაცნეს, მისანს,
ერთურთს კითხვებს ახლის:
— მეფისაა?
— არა!
— ღმერთისაა?
— არა!
— მისთვის დიდებული
ნოქრისაა სახლი.
თავს ნოქრის წინ უმაღ
მოწიწებით დახრის
და ერთმანეთს ჩუმად
გკითხება ხალხი:
— ნეტავ, რით ააგო?
— რა თანხით ააგო?
— რა სახსრით ააგო
ამოდუნა სახლი?!
გრძნობ, ვით დიადია
თორმეტი ოთახი,
ოქროში ანთია
ნათელი ოჯახის.
ნეტავ, რით აანთო,
რა ვერცხლით აანთო
და ცოლს გადაადნო
ნათლად დიდი სახლი.
დახლის დიადება
ხედავ, რა უხვია...
მან მყიდველთა წყებას
თვალი აუხვია,
ფასი რომ მოჰქარგა,
ფაქტურების ქარგა
მყის მიჰქარგ-მოჰქარგა
და ააგო სახლი.
რევიზიის როცა
მოდგნენ ფასკუნჯები,
შეაგება ლოცვა
ფულით დამუნჯების.
ფული, ფული სურდა,
კიდევ ფული სურდა;
სურდა, რომ ჰქონოდა
ეს ვეება სახლი.
აივანზე მდგარი
კაცად ლამაზია,
მას განძით მდიდარი
იყავს მალაზია:
ხვეჭის ხელოვნება,
ყვლეფის ხელოვნება —
ბრწყინავს მისი ჯიბის
ქებად მისი სახლი.
თავს ნოქრის წინ მყისვე
მოწიწებით დახრის
და ერთმანეთს ისევ
შეგუგუნებს ხალხი:
— ნეტავ, რით ააგო?
— რა ხელით ააგო?
— რა მკლავით ააგო
ამოდუნა სახლი?!
უცებ განიბნევა
ეჭვის მრუმე თალხი,
ხალხში განიბნევა
სიტყვა, მთქმელი ახლის:
— მან არც არა ხელით,
მან არც არა მკლავით, —
თითოთ ააშენა
ეს ვეება სახლი!

ბედნიერებით სავსე

— ცნობა მინდა საცხოვრებელი ადგილის შესახებ სამსახურში წარსადგენად!

— დაბრძანდით, ახლავე მოგართმევთ! — მიუგო სახლმმართველმა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო! ახლა როგორ შეგაწუხებთ, ათასი საქმე გექნებათ, ან ერთ წუთში გაკეთებული საქმე ვის უნახავს?

— რა უნდა ცნობის გაცემას! — არ დაიშალა სახლმმართველმა.

— არა, ბატონო, — აღელდა მთხოვნელი, — შუბლგარეცხილი არ გეგონოთ. ხელო მოვალ, რიგს დავიკავებ და როცა მომიწევს, შეგაწუხებთ ნამდვილად!

— თქვენი ნებაა, დროს თუ არ კარგავთ, თუ არ გეჩქარებათ და თუ არ გეზარებათ ასეთ უბრალო რამეზე ზედმეტი სიარული, მობრძანდით ხვალ!

მთხოვნელი მეორე დილას ერთი საათით ადრე აიტუხა სახლმმართველობის კარებთან.

მოვიდა უფროსიც.

— შემობრძანდით, გეთაყვა, თქვენ გუშინ იყავით ჩვენთან! — მიმართა დიმილით სახლმმართველმა.

— არა, უფროსო! ასე ადრე არ შეგაწუხებთ, სანამ მინერალურ წყალს მიირთმევდეთ, გარეთ დაგელოდებით, სხვებიც მოვლენ, რიგს მოვაწესრიგებთ.

— თქვენი ნებაა. — მიუგო უფროსმა და შევიდა სამუშაო ოთახში.

გავიდა რამდენიმე საათი. მთხოვნელი დაიღალა ფეხზე დგომით. როგორც იქნა, გადაწყვიტა და წარსდგა უფროსის წინაშე. უფროსმა გვერდით ოთახისკენ მიუთითა. მთხოვნელი ბოდიშებით გავიდა და ასევე მოკრძალებით შევიდა მეორე ოთახში.

— რაზე შეწუხდით? — თავაზიანად მიაგება დამხვდურმა ქალმა სიტყვები. მთხოვნელმა მოახსენა ყოველივე. „მაგაზე ადვილი რა უნდა იყოს?“ აიღო

ბლანკი და შეავსო. „ესეც თქვენი ცნობა, ახლა ბეჭედს დავუსვამ და სახლმმართველს შეუტანეთ ხელმოსაწერად!“

— ბეჭედზე დღეს არ შეგაწუხებთ, ისედაც ძალიან გაგსარჯეთ. ხვალ მოვალ.

— რას ბრძანებთ, ბეჭედი აგერ უჭრაში მიღევს. ნახევარი წამის საქმეა!

— კი ვიცი, მაგრამ მაინც ამდენად არ მინდა შეგაწუხოთ.

— თქვენი ნებაა, ხვალ მობრძანდით!

— დიდი მადლობა, ნახვამდის.

მესამე დღეს დიდხანს არ მდგარა სახლმმართველობის კართან.

— ინებეთ ცნობა, სახლმმართველის ხელმოწერა აკლია, — შეაგება დიმილი და ცნობა დამხვდურმა.

— უღრმესი მადლობა, ქალბატონო! ჩვენზე იყოს... მაგრამ თქვენს უფროსს, ალბათ, არ ცალია ახლა; უმჯობესია, ხვალ შეგაწუხო.

— ხვალ შაბათია, ზეგ — კვირა. — შეახსენა კეთილმა ქალმა.

— არა უშავს. ორშაბათს მოვალ.

— როგორც გენებოთ! — გაოცებულად მიუგო ქალმა.

მთხოვნელმა მადლიერების გრძნობით დატოვა სახლმმართველობა, კეთილი ადამიანები, დაუვიწყარი სახეები. „ყველაფერი მზადაა. მარტო უფროსის ხელმოწერა დარჩა. უფროსი კარგი კაცი ჩანს. თანაც ვახსოვარ. შეიძლება, დღესაც მომეწვლოს ამ საქმისათვის. თუმცა რა საჭიროა. სამსახურში ასე ჩქარა რომ წარვადგინო ცნობა, ყალბი ეგონებათ, ორშაბათს მშვიდად, წყნარად, ტკბილად მოვუღებ ყოველივეს ბოლოს.“

ამ ფიქრებით მიუყვებოდა ქუჩას ბედნიერებით სავსე.

სალამოს თბილი ნიავი საამოდ სცემდა შუბლზე.



— რას ტირი? მამ მანქანებს გული კი არა აქვთ, რომ შე-
ბიტოლონ!
— როგორ? მაგათ უკან აღაშინებენ არ ღვანანა?!



— აკი შეგვიპირდა რეპეტიტორი, ისე მოვაგზავნა, უეჭვე-
ლად მოხვდებაო?
— ხომ მოხვდა კანდური, მუტი რა გინდა?



— ვინ არის ეს, არსენასავით გაკოჭილი რომ მიგყავთ?
— ჩვენი შვილია, ბატონო, მისაღებ ბამოტლაზე გვინდა,
როგორც, შევავლოთ.

იმ რაიონში პირველად ვიყავი. პატყით თავი არაფერს მო-
უკლავს, ერთ პატარა სასადილოში შევედი და მიმტანის მო-
ტანილ ბულამას, ყოველნაირი მოულოდნელობის გარეშე,
ვატაკე ჩანგალი.

— ვაი!... — აღმომხდა მე.
— რაი?! — შემეკითხა მიმტანი.
— დამეწვა პირი.
— ნამდვილად, არა?!.. კი... კი... ცოტა მწარე უნდა იყოს.
ხორცზე გვიჭირს, თორემ წიწაკის საქმე კარგადა გვაქვს.
სარეკორდო მოსავალი მიიღო ჩვენმა რაიონმა წელს.
— წყალი! — ამოვიკნავლე მე.
— გაწყალდეს, ვინც ჩვენ წყალი შეგვიწყვიტა. წყალი კა-
რგია, მაგრამ სად არის?! დილასაც ლიმონათით დავიბანე
პირი.

— ლიმონათი! — შევევედრე გულმხურვალედ.
— წყალი თუ არ იქნა, ლიმონათს რით გააკეთებ? სითხე-
ებიდან არაფი გვაქვს, თუ გნებავთ!
— საცინლადაც მიგდებ, შე თავხედო?!
— ნუ ყვირით! უფრო კარგი იქნება, ხშირ-ხშირად ისუნ-
თქოთ და წვრილ-წვრილად ილაპარაკოთ!
— მზარეული! — ვიყვირე მე.
— მზარეული კი არა, თქვენ უფრო ექიმი მოგიხდებათ.
მზარეულს რას ერჩით? რაც აქვს, იმას ყრის ქვაბში. აი, ჩვე-
ნი მომმარაგებელი თუ გინდათ, კი ბატონო. მაქაცარიაა ნო-
ყო ლუკას ძე. მოგიყვანოთ?

— არა, საჩივრის წიგნი მომიტანეთ!
— საჩივრის წიგნი კი არა, ხელის საწმენდი ქაღალდი გვე-
ნატრება.

— საზოგადოებრივ კვების საწარმოებს, რესტორნებს, სა-
სადილოებს, საჩაიეებს, კაფეებს, სასაუზმეებს, ბუფეტებს
უნდა ჰქონდეთ და, პირველი მოთხოვნისთანავე, მისცენ მო-
მხმარებელს საჩივრისა და წინადადების წიგნი...

— ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ... განაგრძეთ!
— სავაჭრო ორგანიზაციები ვალდებული არიან, უზრუნ-
ველყოფნა მათზე დაქვემდებარებული სავაჭრო საწარმო
საჩივრებისა და წინადადებების წიგნების საჭირო რაოდენო-
ბით და გაცემული წიგნების რეგისტრაცია აწარმოონ განსა-
კუთრებულ ქურნალში. ზეთი ხომ არა გაქვთ პირში გამოსავ-
ლები?

— სასაქმებელი კი... მაგრამ არ გინდათ. ილაპარაკეთ, ილა-
პარაკეთ, უფრო სჯობია!

— ამხანაგო მიმტანო, თქვენ კანონის მთელი სიმკაცრით
პასუხს აგებთ მომხმარებლის შეურაცხყოფისათვის და საჩივ-
რის წიგნის დამალვისათვის!

— როგორ გეკადრებათ! თქვენი შეურაცხყოფა არც მიფი-
ქრია და საჩივრის წიგნს როგორ დავმალავ, როცა არა გვაქვს.
მაგრამ არ მწყინს. ილაპარაკეთ! ილაპარაკეთ! ახლა უფრო
კარგად ლაპარაკობთ.

— სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკები,
ბომლებიც დაუშვებენ საჩივრებისა და წინადადებების წიგნის
წარმოების დადგენილი წესის დარღვევას და, კერძოდ, საჩივ-
რებისა და წინადადებების წიგნის პირველ მოთხოვნილების-
თანავე მომხმარებლისათვის მიცემაზე უარის თქმას, ან რაიმე
წინააღმდეგობის გაწევას, უნდა დაისაჯონ დისციპლინარული
შეპით სამუშაოდან მოხსნამდე.


— აი, ეს მესმის! ახლა კი თავისუფლად ლაპარაკობთ. ხომ
კარგად გრძნობთ თავს?

— გმადლობთ...
— ვაგვიარათ?
— მგონია, ცოტა კი...
— მაშინ, ა, ბატონო!
— რა არის ეს?
— საჩივრის წიგნი.
— საჩივრის წიგნი?!

— დიახ, ბატონო. წელან ვერ მოვეცით, რადგან ზეპირი
ლანძღვა უფრო გარეგნად და რაკი ახლა სიღამწერემ გა-
ვიარათ, თავისუფლად შეგიძლიათ წერილობითზე გადახვი-
დეთ... გულზეც მოვეშვებით!

კარგა ხანს ვუყურე საჩივრის წიგნს, მერე კი, საჩივრის
ნაცვლად, მადლობა ჩავუწერე დამწერობისას საგულისხმო
რჩევისათვის.

ნახ. გ. ლომიძისა



„წაიკითხეთ ურნალ-გაზეთები, დირექტორი ჯერ ვერ მიგიღებთ, დაკავებულია!“



„წაიკითხეთ ურნალ-გაზეთები, დირექტორს არ სცალია, თათბირი აქვს!“



„წაიკითხეთ ურნალ-გაზეთები, დირექტორი არ მოხულა!“




„წაიკითხეთ ურნალ-გაზეთები!...“ და ასე წარმოიშვა სამკითხველო.

საკონკურსო მასალებიდან


ნ ა მ ნ ო ბ ი ს ნ ა მ ნ ო ბ ი

ვითომ „პურის საჭმელად“, თანაც სიცოცხლისათვის, ერთ საჭმელზე ნაცნობმა მოიყვანა ნაცნობი. მითხრა: ძმაო, მოვიმკით, რასაც ვისთან დავთესავთ, ჰოდა. უნდა ვუშველოთ ამ ჩემს სისხლით ნათესავს! ძლივს დავდურღე პასუხი, განგებ, სიცოცხლისათვის:

ჩვენში, მართლაც, ყველანი ვართ ერთურთის ნაცნობნი, ძმაკაცები, ფიც-ვერცხლნი, ნათესავნი, მოყვრები, ერთმანეთის რაცა ვართ, ყველას ხომ ვერ მოგყვებით?! და სულსა და სხეულში თუ არ გვიზის სატანა, ერთმა ყველას, ყველამ ერთს მოგუხერხოთ გატანა!



ჩვენში დაწესებულება ახალ შენობაში გადავიდა. დირექტორმა თავისი ახალი კაბინეტისათვის საჩქაროდ დაწავალა ახალი მაგიდის შექმნა. იმ დღესვე გავვარდი და ავეჯის ყველა მაღაზია შემოვირბინე, მაგრამ ამაოდ... მეორე დღეს ავეჯის ფაბრიკის დირექტორს ვესტუმრე და ვთხოვე: თქვენ რომ კაბინეტში მაგიდა გიდგათ, ჩემს დირექტორსაც ზუსტად ისეთი უნდა და მიშველეთ-მეთქი! თქვენ რომ ჩემთვის თქვენი დაწესებულების მომართვა არ მოგიტანიათ? მესამე დღესვე მივუტანე. მეოთხე და მეხუთე დღე ზომების აღებასა და ხის მასალის არჩევას მოხმარდა. მეექვსე დღე შაბათი იყო, მეშვიდე — კვირა. მეორე დღეს მაგიდის კეთებას შეუდგნენ და სულ რაღაც ათი დღე მოანდომეს. (მე თავზე ვაღუქვი). მეჩვიდმეტე დღეს საამქროს უფროსმა მაგიდა მაჩვენა, მაგრამ... ჯერ ხარჯთაღრიცხვა არ გავვიკეთებია, ხვალ გამოიარეთო. მეფრამეტე დღეს ხარჯთაღრიცხვა შეადგინეს, მეცხრამეტე დღეს ჩვენი დაწესებულების ბუღალტერმა ბანკში ფული გადაარიცხა. მეოცე დღე შაბათი იყო, ოცდამეერთე — კვირა. ოცდამეორე დღეს, დილით, საბარგო მანქანით, დამხმარე მუშებთან, მინდობილობითა და სასაქონლო შტამპით ავეჯის ფაბრიკის საამქროს უფროსს მივაღდექი. უფროსმა მონაგარიშესთან გამაგზავნა. მონაგარიშემ საშემოსავლო ორდერი გამოწერა და ისევ საამქროს უფროსთან გამიშვა. საამქროს უფროსმა საშემოსავლო ორდერს ხელი მოაწერა, ჩემს სახელზე გაფორმებული მინდობილობა შეამოწმა და დირექტორის მოადგილესთან მიდიო, მითხრა დირექტორის მოადგილემ მინდობილობას რეზოლუცია დააღო და საწყობის გამგესთან გამაგზავნა. საწყობის გამგემ ანგარიში შეადგინა (6 ცალად), საბარგო მანქანის ხომერი ჩაწერა და ისევ დირექტორის მოადგილესთან გამაგზავნა. დირექტორის მოადგილე ადგილზე აღარ დამხვდა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ველარსად ვიპოვე და პირდაპირ ფაბრიკის დირექტორს მივაკითხე. მან ჯერ ანგარიში ათვალა და ჩაათვალა, მერე — მე, ხელი მოაწერა და ბუღალტერიაში გამაგზავნა. ბუღალტერიაში ანგარიში გააფორმეს, ხელი მოაწერეს და კანცელარიაში გამაგზავნეს. კანცელარიაში მდივანმა ანგარიშის ექვსივე ეგზემპლარს ბეჭედი დაარტყა და რეალიზაციის განყოფილებაში გამაგზავნა. რეალიზაციის განყოფილებაში იმ ექვსივე ეგზემპლარს ხელი მოაწერეს, ერთი ეგზემპლარი და მინდობილობა დაიტოვეს და საწყობში გამაგზავნეს. საწყობის გამგე ადგილზე აღარ დამხვდა, რადგან სამუშაო დღე დამთავრებულიყო. საბარგო მანქანის მძღოლმა პირდაპირ სახლში წამიყვანა. ოცდამეცამეტე დღეს, დილას, საბარგო მანქანითა და დამხმარე მუშებით ავეჯის ფაბრიკის საწყობის გამგეს მივაღდექი. გამგემ ანგარიშის ერთი ეგზემპლარი დაიტოვა და ფაბრიკის მთავარ შესასვლელთან გამიშვა. მთავარ შესასვლელში ანგარიში შეამოწმეს და მანქანის ეზოში შემოყვანის უფლება მომიცეს. მუშები საამქროში ავიყვანე, მაგიდა ჩამოვიტანეთ. მანქანაზე დავდეთ და კარს მივაყენეთ. კარისკაცი დარწმუნდა, რომ ნამდვილად მაგიდა მიგეტონდა, საშვი დაიტოვა და ალაყაფის კარი გავვიღო. ოცდამეოთხე დღეს ჩვენი დაწესებულების დირექტორი ახალ კაბინეტში, ახალ მაგიდას მიუჭდა, მდივანი გამოიძახა და უბრძანა, ჩემთვის ბრძანებით საყვედური გამოეცხადებინათ ინერტულობისათვის.



— ამ კალიფორნიელს სულ არა აქვს ხმა და, როგორ მოხვდა კონსერვატორიაში? — სამაგიეროდ მამის მამას აქვს ისეთი ხმა, რომ დირექტორის კაბინეტს ჰქრი ახად.

გურიის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის ერთ-ერთ უბანში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სილიბისტრო და ლადიკო. სილიბისტრო ისევე ძველ ადგილას ცხოვრობს, ხოლო ლადიკომ, რომელიც 55 წლის იყო, როცა პირველად დაქორწინდა, სამი ქართველი ქალი გამოიცვალა, მეოთხედ რუსის ქალი შეირთო და ძეზობელ სოფელში გადასახლდა.

სილიბისტრო და ლადიკო კოლმეურნეობაში მუშაობენ. ლადიკო ბავშვობიდანვე ნიჭიერი იყო, მაგრამ მხოლოდ სამი კლასი დაამთავრა. ამ ფაქტს მისთვის არ შეუშლია ხელი 4 ცოლის მოყვანაში. სილიბისტრომ მე-6 კლასამდე მიადწია... ორივენი მუყაითად შრომობდნენ. ლადიკო სიტყვათუწი და დინჯია. მოხდა ისე, რომ სოფელში ერთ წელს კოლმეურნეობის სამი თავმჯდომარე გამოიცვალა. მესამე თავმჯდომარეს რომ ირჩევდნენ, ლადიკოს სიტყვით გამოსვლა თხოვეს. თქვენ, თავმჯდომარეები, ქე ეცვლებით ერთმანეთს, მარა მე და ტელემაქეს შემცვლელი მიწის თონხაში ჯერ კაცი არ გამოჩნდაო, თქვა ლადიკომ და დაჯდა.

გავიდა დრო. სილიბისტრო, როგორც ლადიკოზე სამი კლასით უფრო განათლებული, დააწინაურეს და კოლმეურნეობის საწყობის გამგედ დანიშნეს. სილიბისტრომ ჩქარა გაუგო გემო საწყობში მუშაობას და თავისი სახლი საწყობის ერთ-ერთ ფილიალად აქცია. ყოველდღე ჩერდებოდა მის სახლთან კოლმეურნეობის მანქანა სიმინდითა თუ კომბინირებული საკვებით დატვირთული. მალე, არათუ ოჯახის წევრებს, სილიბისტროს შინაურ ცხოველებსა და ფრინველებსაც დაეტყუოთ პატრონის საწყობის გამგეობა...

სილიბისტროს მეუღლე მიიბრუნდა ლადიკოს მეუღლესთან და „მიახარებდა“: დღეს ჩემმა ქმარმა 3 წყვილი ახალი ფეხსაცმელი, ორი საგარეო, ერთი საშინაო კაბა და პალტო მომიტანაო. ლადიკოს მეუღლე სამუშაოდან დაბრუნებულ ქმარს ყველაფერს უყვებოდა. ლადიკო დინჯად მოუხსენდა და ბოლოს ეტყოდა: არ გუუგიენო.

ერთხელაც დაბრუნდა ლადიკო. ცოლმა უთხრა: შენ რომ წახვედი, სილიბისტროს ჭიშკართან „ვოლგა“ გაჩერდა, იქიდან ორი წითელქუდიანი და „პავონებიანი“ კაცი გადმოვიდა, ჩაისვეს სილიბისტრო და წაიყვანეს. მალე მოხვალ, ჩემო სილიბისტროო? ჰკითხა ეფროსინემ. არ ვიცი, როდის მოვალო, უთხრა სილიბისტრომ.

ლადიკომ მოუხსინა ცოლს, გუუგიენ, გუუგიენო, თქვა, თუთუნს მოუკიდა და წამოწვა.

ზალაგრა მგელაქა

უკვას გასაჭირი

ის იყო, სამუშაო დაგამთავრე, ქუჩაში გამოვედი და ჩემს მეგობარს მოვეკარი თვალი. თავდახრილი მიდიოდა, დალილ სახეზე თმები უწყსრივოდ ჩამოშლიდა. დანა პირს არ უხსნიდა. ვიფიქრე, რაღაც უბედურება შეემთხვა-მეთქი და ხელი ვტაცე.

— შალვას ვახლავარ! რა მოგივიდა? რამ დაგძმარა? ქვეყნის ვალი შენ ხომ არ გაწვევს ზურგზე?

— შალვამ ერთი კი შემომხედა, შეჩერდა, ხმა ვერ ამოიღო... მკვდრის ფერი ედო, უშბლზე ხელი გადაისვა, თითქოს მძიმე ფიქრს იორჩებო, და ცოლყბად გამოდიოდა.

— შენც შემატყვე?

— რა მოხდა, ოჯახში ხომ კარგად არიან? — ვკითხე შეშინებულმა.

— ოჯახში? ჯერ კარგად არიან, მაგრამ, რომ მივალ, რაც მოხდება, ის კი მტრისას გენახოს... ალბათ, აყალბაყალი და თავის გატეხაც არ ამცდება.

— რათა, ბიჭო?!

— ღირსი კი ვარ, ჩემო ზურაბ, ღირსი...

— მივხვდი, ბატონო: გადაეყარე თმაჯაჩილი, შარვლიანი, საღებავებით მოთუხნულ გოგოს და ქეთევანი, სამი შვილით. გვერდზე მოიტოვე, არა?!

— რას ამბობ, ზურაბ? მასე რომ იყოს, რა მიჭირს? არა, უნდა გადავიკარგო სადმე ან სამსახური გამოვიცვალო...

— რა მოხდა, კაცო, არ იტყვი?!

— რაღა რა მოხდა. რამდენიმე თვეა, ოჯახში ხელფასი არ მიმტანია. ვალებით ავივსე, თვე არ გავა, რომ ორი-სამი წერილი არ მივიღო, ხან იმერეთიდან, ხან სამეგრელოდან, ხან გურიადან, ხან კახეთიდან: საყვარელი სიღვრი ვარდამეცვალა, განცხადება მოგვითავსეთო. ხან სანატრელი სიმამრი უკვდება, ხან — ბებულის მუღი, ხან — ვინ... ზოგი ინამუსებს და ფულს გამოატანს ვინმეს, ზოგს სირცხვილად მიაჩნია: ფული როგორ შევთავაზო, ეწყინებო. მე 90 მანეთი მაქვს ხელფასი. ამდენი ნაცნობ-ნათესავის ხათრით მშიერი დამჩნა ცოლ-შვილი. ხელფასიცა და ჰონორარიც სამგლოვიარო განცხადებებს შევალე.

ამ დღეებში ცოლს პირობა მივცეცი, ხელფასს უკლებლივ მოგიტან-მეთქი. დღეს კი...

შალვამ ჩიბიდან ბარათი ამოიღო და გამომიწოდა: „შვილო, გენაცვალოს ღედა, თავს შემოგველე, არ შემარცხვინო, ეს განცხადება პირველი მოათავსე, ღედა, ხომ იცი, ვისია ავი, ჩემი კარის მეზობელი, ბიჭტორა ხომ იცი, მისი ქვისლის ბიძაშვილია. ღედა, შენ იცი, რაფერ მასახელებ. ახლა გმართებს თავის გამოჩენა. ეცადე, ყოლი-ფერი მოათავსო შიდა, არაფელი გამოჩნეს. ქე რომ იციან, ორიოდე სიტყვით, ისე კი არ ქნა, ღედა! უჭრა ნამეტან აავსე, აბა შენ იცი, რა მარიფათს გამოიჩენ! შენი ღედა“.


წერილის კითხვა რომ დაგამთავრე, ჭირის ოფლმა დამასხა. კარკა ხანს დავუტრებდი ფანჭრით ნაწერ სტრიქონებს და სანუგეშო სიტყვებს ვეძებდი, მაგრამ რა უნდა მეთქვა, როცა მეც მის დღეში ვიყავი?

დოდო ზარბაზიშვილი



ნ.ბ. ზ. ფორჩინიძისა

ბატონო დირექტორო, კმლანი ხანია გეხვევებით და, მაღირსათ: პრ-თი რილი... მიემი ამ მათხონარს მათხონ-რის რული!



ნ.ბ. ზ. ფორცხალავასი

17

ქე არ გაჩერო, ჯაჩალემი არიან!..

ქინოსკოპი

ოცი წლის უამღავ

მე მაშინ ოცი წლისა ვიყავი. ზამთარი იყო. გაყინულ-გათოშლილი. აჩქარებული ნაბიჯებით მივეშურებოდი სახლისაკენ. ჩემი ერთადერთი პალტო (საშემოდგომო), რომელიც ოქტომბერ-ნოემბერში სასიამოვნოდ მათობდა, იანვარში ვედარ ასრულებდა თავის მოვალეობას. მციოდა და მეგონა, ყველას, ვინც ჩემს ირგვლივ იყო, ყველას სციოდა.

მოულოდნელად ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩემს პირდაპირ დინჯად, აუჩქარებლად მომავალმა ქალმა. იგი 40 წლისა იქნებოდა, ეცვა ძვირფასი ბეწვის ქურქი, ესურა ბეწვისვე ქუდი, ეცვა თბილი ფეხსაცმელი. სახე ვარდისფრად ჰქონდა გაკრიალებული და თვალები კმაყოფილებით უბრწყინავდა. თოვდა. თოვლისა და სიცივისა ქალს არ ეშინოდა. ჩასუქებული ტანის ნაკვთებს ქურქშიც ვერ მალავდა. მოდიოდა და სიცივის აშინებდა. შევხედე და შევნატრე: ძლიერ მინდოდა, მეც ვყოფილიყავი მისი ხნისა, მასავით ჩასუქებული და თბილად, ძვირფასად ჩაცმულ-დახურული. უცნობმა ქალმაც დაკვირვებით შემომხედა. მე უხერხულად ვიგრძენი თავი და სწრაფად მოვწყვი ადგილს.

...გავიდა ოცი წელი. ზამთარია. მე უკვე ორმოცი წლისა ვარ. მაცვია ქურქი. თბილი ფეხსაცმელი. არ მცივა. ქურჩაში დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მივდივარ. უცებ ჩემკენ მოპყრობილი ორი თვალი დავინახე. ახალგაზრდა გოგონა იყო. ეცვა საშემოდგომო



პალტო და საშემოდგომო ფეხსაცმელი. მას ნამდვილად სციოდა. სახე გალურჯებული ჰქონდა და თვალები — ნაღვლიანი, ვიგრძენი, ის მე შემომნატროდა. მე? მე კი — მას, მის ახალგაზრდობას, ყველაზე უძვირფასესა და განუმეორებელს...

იქნებ, ის უცნობი ქალიც, ოცი წლის წინ რომ ვნახე, ასევე ფიქრობდა?

მონოლოგი

— „მუშინა ი შენშინაზე“ ლაპარაკობთ, „მუშინა ი შენშინაზე“? მაგი, კაცო? არ გამაგონოთ მაგი! გარყვნილი კინოა, გარყვნილი! გადააშენა ღმერთმა მაგის გადამღები! გათახსირებული კინოა! რაო, რაო? სიყვარულია მაღალ დონეზე? სიყვარულია მაგი? ქალი ნომერში მიყვება კაცს. წარმოგიდგენია შენ? ქალი ნომერში რისთვის მიყვება კაცს? არ იცით თქვენ? არა, მაგი სიყვარული არაა! ქალს თავის ქმარი უყვარდაო? არ გამაგონოთ მაგი! ქმა-

რი უყვარდა და სხვა კაცს ნომერში მიყვება? რატომ წაყვავა კაცს, რატომ? ვერ ხვდებით თქვენ მაგას? არა მგონია, მაგას ვერ ხვდებოდეთ! არა. არა, ძალიან გარყვნილი კინოა, ძალიან. ადამიანური გრძნობები მაღალ დონეზეაო? არ მიხსენოთ მეორედ! მაღალ დონეზე კი არა, ძალიან დაბალ დონეზეა. სულ ხვევნა-კოცნაზეა კინო და ეგაა ადამიანური გრძნობები? ეგ კინო უნდა ჩვენს ახალგაზრდობას? მე თუ მკითხავთ, ეს კინო სულ არ უნდა გაეშვათ. შედიან ახალგაზრდები და ხვევნა-კოცნას სწავლობენ. ეს უნდა კიდევ მაგათ? გაირყვნიან, აბა, რა მოუვათ? ახალგაზრდობას კინოები აგიჟებს, კინოები! გაიგეთ ახლა, გაიგეთ?

— გავიგეთ, გავიგეთ! — უპასუხეს ერთხმად.

— რა კარგი კინოები იყო წინათ, კაცო, ჰა? უყურებ სიამოვნებით. გეიგებ ყველაფერს — თავსაც, ბოლოსაც...



მარხნის საბავშვო განყოფილების ბავშვი

მე, გენაცვალე, უმაღლესი განათლება მაქვს და კულტურული ქალი ვარ! ბერწოლის გამყიდველი კი არა ვარ! მე, იცი, რა კოჩალი ქალი ვარ? ზოგიერთი ქალი კედელზე რუსმანს ვერ მიაჭედებს. ასეთ ქალს ლევერველი უნდა ჩაარტყა შიგ გულში.

პლანის შედგენა მაგათ ადვილი საქმე ჰგონიათ, იცი, რამდენი ტრუნდნოსტებია?

მაგიბუღალტერი შეტერია და ვირაბოტკას როგორ მომცემს თავის დროს? მე კი მაჩქარებს, სუბსტოიმოსტი მომეცით. ისიც არ იცის, სუმა რამდენია. მოიყვანე, დასვი ჩემს ადგილას! შეადგენს გადავოი პლანს? ვერა.

მე მუშები პავრემონკაზე გადავიყვანე. ეგ კი სდელშჩიკებს გაიძახის. სად არის? არც სმეტა მაქვს, არც გრუზნიკების ნარიადი. სლესრები და ტოკრები ხომ პავრშია დაკიდებული. რაიკომის ვაპროსნიკებია გასაკეთებული. ეს ოხერი ზაიაკების პაპკა დაუკარგე.



რასცენკა თუ არ იცი, ბიჭო, შეფასებას როგორ მისცემ? ეუფდნევაა მომეცი ერთი! ტოპლივო და ენერგია არ მინდა!

შტატინი რასპისანიე არ მინდა!

პრიკაზები არ მინდა! პლან პო ტრუდე მინდა! რადმე არ დამწყდა თვალები ამ პაპკის ძებნაში?

ოჰ, როგორ მეჯავრება ჩემი პროფესია! მე მომღერალი უნდა გამოვსულიყავი, ან ლიტერატორი...

მე ის პა-ტა-რა ნაა-კა-დული ვარ...

ეჰ, აღარ მესალისება ეკონომისტობა!

ფოტოგალთა კრებაზე

— გული მტკივა, — დაიწყო სიტყვაში გამოსულმა მშობელმა. — როდესაც ბოვშეები ქართულ ენას ამახინჯებენ. აი, მაგალითად, რა არის სიტყვა მასწავლებელი, რეიზა? ვინ არის აქ დამნაშავე? რა თქმა უნდა, ჩვენ ყველ. თქვას პატრივცემული მასწავლებელი! ან მასწავლებელი ვიბრძოლოთ მშობლებმა და მასწავლებლებმა ერთად, რომ აღმოვფხვრათ ძირშივე ეს მავნე ჩვევები! აი, მაგალითად, ჩემი ბოვში რატომ ამბობს სიტყვა მასწავლ-ს, რატომ? იმიტომ, რომ დედამისს არ უთხრობია თავის დროს, არ აუკრძალავს თავის დროს და არც თქვენ, პატივცემულო კლასის ხელმძღვანელო! ყველაფერს თავისი მეტოდი აქვს. ჩემი აზრით (ეს ჩემი მეტო-დია). დღეს რომ აუხსნით ბოვშეს გაკვეთილს, ის გაკვეთილი დღესვე უნდა ისწავლოს, რომ ხვალისთვის ჩაგაბაროთ, მაგრამ



რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ეს გაკვეთილი ხვალ კი არ აქვენ ბოვშებს, არამედ შეგე. აი, მთელი სირთულე თქვენი მეტოდების. ჩემი აზრით, თქვენი გაკვეთილების ცხრილი ამის მიხედვით უნდა შეადგინოთ!

— დაამთავრეთ, ბატონო?

— დიას! თუმცა არა: ზოგჯერ კლასში ერთი ბოვში იტყვის, არ ვიცი გაკვეთილი. მეორემ კი იცის. მაგრამ ისიც ამბობს, მეც არ ვიციო. აი, რა გამოდის ტავარიშრობა, პირის შეკვრა...

— ჩვენს კლასში მოხდა ეს, ბატონო?

— არა! ეს სხვაგან.

— მაშინ, თუ ჩვენს კლასს არ ეხება, გთხოვთ, ნუ ლაპარაკობთ!

— დიას! აქანე არ შეიძლება მოხდეს... არც...

— დაამთავრეთ? დაბრძანდით!

პატივცემული მშობელი ძალით დასვეს.

ს ა ლ ა მ ი, ძ მ ა რ ვ ა ლ ე რ ი!

უბირველესად ყოვლისა, კოცნა და დიდი მოკითხვა!
შენ შემოგვეღოს შენი ძმა ლხინში, თუნდ ცუდ ეამობის ხანს.

შენ იცი, როგორ გამიგებ, იცი, არ გეთქმის პატარა.
სკოლამ შვიდ კლასში თორმეტ წელს მეც მასსოვს, როგორ
გატარა.

რვა კლასი მორჩი რაფერზე (ვერც ვნახე ცუდი ამაში),
თორემ ხომ იცი სოფელი? მტერი ჩავარდა მის ყბაში!

მერე კი ჩემთან, თბილისში, წაგიყვან, ჩემო ძამიკო,
ერთურთს, მგონია, გავუგებთ, ყველგან ძმა ძმისთვის ძმა იყო.

ჯერ ჩემთან მოხვალ, ნუ შიშობ, ყველას დაგვიტევს
„სამწვადე“,
ვიცი, ნიჭს შენც გამოიჩენ, თუ გზა ერთხელვე გაწალდე.

შენი ხარჯებით (როგორც მე) გახსნი პატარა სალუდეს,
მერე ქაფით და ხინკლითა შენც ისერი ფულის სალუტებს.

შენ ჩემს ძველ „ვოლგას“ დაგიმობ, მე ქე გამომყავს ახალი.
(პატარა სადღაც ქე მიზის, რო დატრიალებს მძახალი).

ჰო, მართლა: სკოლის დირექტორს, ჩემს ნახვის ნატრულ
კოწიეს,

ერთხელ რომ ტყავი გამაძრო, პაპიროსი რომ მოვწიე,

მერე ასე რომ მეძახდა: „შენ კაცად არ ხარ შობილი!“
ერთი მოკითხვა უთხარი, თან ჩამიკოცნე „ძმობილი“.

ისიც უთხარი, თუ შენს ძმას რა „ვოლგა“ აქვს და რა ოდა,
ატესტატიც რომ არ მომცა, ზიზღით რომ ჩამომბღაოდა.

სხვა, მეტი, რაღა მოგწერო? ეს არის მთელი უსტარი;
სამწვადე-სახინკლე გაზარდონ, მეზობლებს ცალყბად უთხარი.

ვაჟა ჩორღელი

აი. რაზა აკყდა ჩხუბი

ამას წინათ ერთი უცნაური ჩხუბისა და აყალ-
მაყალის მოწმე გავხდით: ტროლეიბუსში ამოვიდა
ქალი. თმა ოქროსფერად ჰქონდა შეღებილი და სა-
ხეზე ნაოჭები ემჩნეოდა. პატარა გოგონა, რომე-
ლიც იჯდა, ადგა და ქალს ზრდილობიანად ადგი-
ლი შესთავაზა.

— დაეგდე მანდ! — უყვირა ქალმა გოგონას.
გოგონა დაიბნა, გაწითლდა... ვერ გაიგო, ასე
რამ გააწიწმატა ქალბატონი.

— ვინ მოგცათ უფლება, ჩემს დაბადების მოწ-
მობაში აფათუროთ ხელი? — მრისხანებდა იგი.

— მაპატიეთ! — მორცხვად უთხრა გოგონამ, —
ჩემზე უფროსი მეგონეთ და ამიტომ დაგიტემეთ
ადგილი. ასე მასწავლეს სახლსა და სკოლაში.

ქალი კი ისევ გამომწვევად ქაქანებდა, ხელეებს
ხან ერთი მგზავრისკენ იშვერდა და ხან — მეო-
რისკენ. ამ დროს ჩემს სახლსაც მიეუახლოვდი,
ტროლეიბუსიდან ჩამოვედი და გაოგნებული ვფი-
ქრობდი: ნუთუ, ასე უნდა გადავუხადოთ გოგონას
ზრდილობიანი და კულტურული მოქცევისათვის?
ნუთუ მან რამე დააშავა?

ალ. სიგუა

უცხოური იუმორი

რესტორნის მფლობელმა ვიტრინაში ასეთი წარწე-
რა გამოაკრა: „ჩვენთან ყველაფერს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ
აშუადებენ!“

მეორე დღეს მეზობელი რესტორნის შენობაზე ვარ-
ნდა რეკლამა: „ჩვენთან ყველაფერს კ ა რ ა ქ ი თ ა მ-
ზადებენ!“

- ტყეში მივდივარ სოკოების საკრეფად.
- მოწამვლისა არ გეშინია?
- ჩემთვის კი არა, გასაუიდალ მიხდა.

მმართველი ეკითხება თანამშრომელს:
— არ შეგიძლიათ, დამისაბუთოთ, რატომ დაიკვი-
ნეთ სამსახურში?

- იმიტომ, რომ სახლიდან გვიან გამოვედი.
- ადრე რატომ არ გამოხვედით?
- ძალიან გვიანი იყო, ადრე რომ გამოვსულიყავი.

— უაჰ, არ მეგონა, ასეთი მატყუარა თუ იყავი: შენ
ხომ მითხარი, რომ ერთი ძმა გყავს?

- დიახ, ერთი ძმა მყავს!
- აბა, შენმა დამ რატომ მითხრა, ორი ძმა მყავსო?

ფრანგულიდან თარგმნა ლ. სანდუკიანმა



მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ღუმუაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლჭვაძე
(პ/მზ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭილიძე.

საბირისა და იუმორის
შურონალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი:
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Нианги».
ბმლ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საბ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად
11 VI/-71 წ.
ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 3/VII-71 წ.
ქალაქის ზომა
70x108/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
სააღრიცხვო-საბამოცე-
მლო თაბახი 1,4.
საბ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ГБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14


შეგ. № 2167.
შე № 0209
ბირაში 127,950



ნ.ბ. ვ. კუციანი



ნ.ბ. რ. სანდუკიანმა



— რას აგობ, ძეგო, ანლა მქართაშეოგაჲ იხათი აგბ-
ბია, ქრთაბი რომ ავიღო, ქრთაბი უნლა მომცე!

ვარსკვლავიანსა ღამეს...

11
1984

ნახ. პ. ლომიძისა


21-13

71-950

ინგლისის „საერთო ბაზარში“ შესვლით, ამერიკის მონოპოლიებს
საშუალება მიეცემათ კიდევ უფრო დააბანდონ კაპიტალი დასავლეთ
ევროპის ეკონომიკაში.

ბიზნესული
გაზეთი

ИНДЕКС 76137



КОНТРОЛЬНЫЕ

ინგლისური ბასალეზი